**შვეულად:** 2. საზღვაო მარშალი. 3. გერმანიის შეიარაღებული ძალები. 4. სახარების ერთ-ერთი კანონიკური ავტორი. 5. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა. 7. სადაურია ბორის ტრაჯკოვსკიც და სადაური იყო დიდი ალექსანდრეც? 8. ცხენის „ფეხსაცმელი“. 9. სავაჭრო-სამრეწველო საწარმოს მოსამსახურე დას. ქვეყნებში. 10. ბორბალი, რომელიც მოძრაობას გადასცემს ამძრავ ღვედს. 11. ბიბლიაში დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მთა. 12. ელ.საქონლის მწარმოებელი ნიდერლანდური კომპანია. 15. რამდენიმე სახსრის ერთდროული ან თანმიმდევრული დაავადება. 19. ცნობილი საბჭოელი ბალერონი, მაჰმუდ.... 20. ფრინველური სახელის ქალაქი ინდოეთში. 23. ავტორი რომან „დიონისოს ღიმილი“. 24. სოფელი დუშეთის რაიონში. 25. ბრძოლის წარმართვის ხელოვნება. 28. რა ერქვა სამთა კავშირს ძველ რომში? 29. როგორია გაურჯელად ნაშოვნი რამ? 30. ბიზანტიის იმპერატორების ტიტული. 34. ურჩი და ზარმაცი პირუტყვების მოსახსენებელი სიტყვა. 35. ერთი და იმავე სიმაღლის რამოდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა. 39. XX ს ფრანგი ნობელიანტი მწერალი და ფილოსოფოსი, ავტორი რომანისა „შავი ჭირი“. 40. გაუთვალისწინებელი მოვლენა, ანუ? 44. ვლადიმირ ნაბოკოვის „ლოლიტას“ და ენტონი ბერჯესის „მექანიკური ფორთოხლის“ ეკრანიზაციების ავტორი. 45. ფეთქებადი ნივთიერება, რომელიც უჯერ ნახშირწყალბადს წარმოადგენს. 48. ნიანგებთან მეტად დაახლოებული პატარა ჩიტი. 49. არაგვის ერისთავთა რეზიდენცია წარსულში. 53. სააგიტაციო ფურცლის სახესხვაობა. 54. ჰოლანდიური გულდენის მეორე სახელწოდება. 55. მანძილი ორ მოძრავ ობიექტს შორის. 58. ჰოლივუდური ფილმი ბრუს უილისისა და ლივ ტაილერის მონაწილეობით. 59. ქალაქ ვატერლოოს ტყუპისცალი ქალაქი კანადაში, რომელთაც ზოგჯერ ერთ ქალაქად მოიაზრებენ. 60. აზიის ქვეყანა რომლის მწვანეფონიან დროშაზე წითელი წრეა გამოსახული. 64. რა შეიძლება ჩაუვარდეს იმედგაცრუებულ კაცს ნაცარში? 65. სამად მოსაკეცი ხატი, რომლის ქართული შესატყვისიც სამკარედი გახლავთ. 69. ვაჟასეული „გველისმჭამელის“ პერსონაჟი. 70. ერთ-ერთი ყველაზე ძველი წიგნთაგანი მსოფლიოში. 71. მოურიდებელი და უტიფარი ადამიანის დამახასიათებელი სიტყვა. 74. იგივეა, რაც გოგრა.





**...რადგან დღევანდელი ტური (უმაღლესი ლიგისთვის მეხუთე და პირველი ლიგისთვის მეექვსე) ქალთა საერთაშორისო დღეს დაემთხვა და რადგან ჩვენი მამაკაცები ჯერ ვერაფრის დიდებით ვერ სჯაბნიან ქალებს, ექსპერიმენტის სახით ტურს ასე ვატარებთ: მოცემულ ტექსტში გამოყოფილია 40 საპრიზო კითხვა, რომელთაგან 20 განკუთვნილია მხოლოდ ქალებისათვის და 20 – მხოლოდ მამაკაცებისათვის... გაკრეჭილი კაცის ფეხქვეშ კი კროსვორდი რომაა (10 კითხვით), საპრემიო გახლავთ ორივე ლიგის როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის...**

## თარაზულად:

1. როგორი კაცი იყო გოგია უიშვილი.
4. (**კითხვა №1 კაცებისათვის**) როგორი ქალია ფოტო №6-ზე ასახული.
8. ადამიანის შინაგანი ხმა.
14. (**კითხვა №2 კაც.**) ადმ. ცენტრი კუნძულისა, რომლის მახლობლადაც ჩაიძირა ბრიტანული გემი „ბაუნტი“ და რომლის დღევანდელი მაცხოვრებლებიც იმ ეკიპაჟის შთამომავლები არიან.
15. (***კითხვა №1 ქალებისათვის***) მომღერალი, მარტში რომ ჩამოვა თბილისს.
16. ისტ. ოლქი თანამედროვე იუგოსლავიის ტერიტორიაზე. 19. საყრდნი წერტილების მდგომარეობს განსაზღვრა ზედაპირზე ადგილის ტოპოგრაფიული გადაღების მიზნით. 20. სულთმობრძავი ადამიანის ხმა.
21. (***კითხვა №2 ქალ.***) ის, რის არქონასაც ხაზგასმით ითხოვენ ქალები, რომლებსაც გათხოვებისა და „მეგობრობის“ სურვილი გაზეთში განცხადებას აქვეყნებინებს.
24. წერილის წამღები პირი.
25. (***კითხვა №3 ქალ.***) ერთ-ერთი იმ ლიტ. მამაკაცთაგანი, რომელსაც ქალის გულის მოგება (..და მოკვლა) უადვილეს საქმედ მიაჩნდა.
26. იხილეთ ფოტო №5. 30. ქალაქი საფრანგეთში, რის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირსშესანიშნაობას ვინსენტ ვან-გოგის სახლ მუზეუმი წარმოადგენს.
31. (**კითხვა №3 კაც.**)
$x^2/a^2-y^2/b^2=1$... რა არის ეს?
32. სახელი დედისა, რომელსაც ქმარი შვილმა მოუკლა და შემდგომში მასზედ იქორწინა.
36. (**კითხვა №4 კაც.**) სტრუქრულ-ფუნქციონალური ანალიზის მიმდინარეობის წარმომადგენელი ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი, რობერტ კინგ....
37. ძველი ბერძენი მოქანდაკე, შემქმნელი „ლაოკოონისა“. 38. ირლანდიური წარმოშობის დიდი ინგლისელი დრამატურგი. 43. ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი, შემქმნელი „უნგრული ცეკვებისა“. 44. კუნძული, რომელზეც ძველი ბერძნების ცათამპყრობელი მოევლინა სამყაროს. 45. ევროპული ზღაპრების ბოროტი არსება.
46. (**კითხვა №5 კაც.**) სტამბის შრიფტი.
50. კაცი, რომელმაც დაბალტანიანი ადამიანების მოსახსენიებელი დამცინავი სიტყვა გამოიგონა. 51. არქტიკის ცნობილი რუსი მკვლევარი. 52. საშუალო სამეცნიერო ხარისხი ბაკალავრსა და დოქტორს შორის დასავლეთის ქვეყნებში.
55. (***კითხვა №4 ქალ.***) ყველაზე წვრილი სასტამბო შრიფტი.
56. წერილობითი განკარგულების სახესხვაობა.
57. (***კითხვა №5 ქალ.***) ერთი დიდი ფრანგი მწერლისა და სატირიკოსის ნამდვილი გვარი.
61. მეცნიერ მუშაკების მომზადების ერთ-ერთი ფორმა. 62. თხის თავისაგან დამზადებული წვნიანი. 66. მრავალწლოვანი ბალახოვანი სამკურნალო მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა.
67.(***კითხვა №6 ქალ.***) შეჯიბრის წესი შუა სს რაინდთა ტურნირებში.
68. როგორ შეიძლება გაიყოს რაიმე ორ ადამიანს შორის? ... როგორ? 69. ქალაქი, სადაც ჰეროსტრატემ არტემიდეს ტაძარი გადაწვა. 74. რა არის უილიამ ფოლკნერის „სოფელი“, „ქალაქი“ და „სახლი“? 75. რა ერქვა „პატარა უფლისწულის“ ავტორს?
76. (**კითხვა №6 კაც.**) თ. მანის „ჯადოსნური მთის“ მთ. პერსონაჟის გვარი.
79. (**კითხვა №7 კაც.**) ნამდვილი გვარი სკანდინავიელი მწერლისა, რომელიც აკა მორჩილაძის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“-ის მთავარი პერსონაჟია.
80. ძველი წიგნების გამყიდველი.
81. (***კითხვა №7 ქალ.***) მარადმწვანე მცენარე კვიპაროზისებრთა ოჯახისა.
85. პერსონაჟი ნ. დუმბაძის რომანისა „მე ვხედავ მზეს“. 86. რა არის „ნატო“ თავისი არსით? 87. ტრაგიკულად დაღუპული რუსი ტელეჟურნალისტი. 91. პერედვიჟნიკების ამხანაგობის წარმომადგენელი რუსი ფერმწერი.
92. (***კითხვა №8 ქალ.***) 80-იანი წწ ქართველი ფეხბურთელი
93. იხილეთ ფოტო №3. 97. ელცინის მშობლიური ქალაქის ნათლია ერთდროს. 98. სხეულის მიერ მოძრაობის შენარჩუნების უნარი. 99. ციყვისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მღრღნელი. 103. შემოქმედის პარტნიორი. 104. იხილეთ ფოტო №1. 105. რა ერქვა ცისფერყანწელ ნადირაძეს? 106. ელექტრო წრედში ძაბვის მარეგულირებელი ხელსაწყო.
110. (**კითხვა №8 კაც.**) მანქანის ერთი ნაწილის რუსულ-ჟარგონული სახელი.
111. ინტრიგანთა ჯგუფი ესპანეთის სამეფო კარზე, რომლებიც ზემოქმედებდნენ სამეფო კარის პოლიტიკაზე. 112. საბუნებისმეტყველო მეცნიერება.
116. განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 117. ექიმის მიერ დაწერილი წერილობითი მიმართვა აფთიაქში სასურველი წამლის საყიდლად.
118. (**კითხვა №9 კაც.**) ინგლისელი პოეტი, ენტონი... (1815-1882).



122. იხილეთ ფოტო №6. 123. რა მიიღეს აშშ-ში 1787 წელს? 127. გარემოს დაცვის მეცნიერება. 128. კეთილთვისებიანი სიმსივნე. 129. როგორი აირია ნეონი?
130. (***კითხვა №9 ქალ.***) ცხენებშებმული დიდი გადახურული ეკიპაჟი წარსულში.
131. (***კითხვა №10 ქალ.***) ერთმა მეფემ თავი ზღვაში რომ დაიხრჩო და მისი სახელი შემდგომში ამ ზღვას რომ ეწოდა, მისი სახელი გაიხსენეთ.
132. (**კითხვა №10 კაც.**) სოფელი გარდაბნის რაიონში.

## შვეულად:

1. (**კითხვა №11 კაც.**) ღრმა და ვიწრო ხევი.
2. ძირძველ ადათებზე დაფუძნებული, ანუ როგორი?
3. (**კითხვა №12 კაც.**) ქალი, რომელმაც მშობლიური ქალაქის დაცემა იწინასწარმეტყველა.
5. აზიის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ქალაქი.
6. (**კითხვა №13 კაც.**) ქალი, რომელიც „გამარჯობას“ კარგა ხნის საუბრის შემდეგ ამბობს.
7. ლამაზად ლაპარაკის ხელოვნება ანუ რა? 9. სახელი ერთი ცნობილი მეგრელი პერსონაჟისა ერთი ცნობილი ფილმიდან.
10. (***კითხვა №11 ქალ.***) მთავარსარდალი, რომელსაც თანამემამულეები „აფრიკელს“ უწოდებდნენ.
11. ძველი ხელნაწერი. 12. ძუძუმწოვარი მტაცებელი ცხოველი, რომლის „თანაოჯახელიც“ დიდი პანდა გახლავთ.
13. (***კითხვა №12 ქალ.***) ვინ იყო ივან აივაზოვსკი?
17. ბაქტერიების საერთო სახელი.
18. (**კითხვა №14 კაც.**) „ინფორმაციული მონსტრი“ ჩვენი პრესისა.
22. ნივთი რომელიც რაიმე ნივთის სრულ შესაბამისობას წარმოადგენს.
23. (***კითხვა №13 ქალ.***) კაცი, ვისაც მარქსმა „შოტლანდიელი ჯადოქარი“ უწოდა.
27. რა ეწოდება წითელ ბურთს ბილიარდში? 28. იხილეთ ფოტო №4. 29. კლასიციზმის ეპოქის ფრანგი დრამატურგი. 33. დარიოს I-ისა და ქსერქსეს სატახტო ქალაქი. 34. ინგლისელი - მილტონი, არგენტინელი - ბორხესი, ბერძენი - ჰომეროსი, რუსი - ვინ? 35. ყველაზე დაბალი სამსახურეობრივი ჩინი პრესაში მომუშავე პერსონათა შორის.
39. (**კითხვა №15 კაც.**) გვარი თანამედროვე ჰოლივუდელი ვარსკვლავისა, რომელიც როკ-ჯგუფ „აეროსმიტის“ ლიდერის ნაბუშარია.
40. (***კითხვა №14 ქალ.***) კენკროვანი მცენარე, რომელიც გახლავთ მოსახელე ცნობილი ირლანდიური როკ-ჯგუფისა.
41. ვინ იყო იესო ქრისტე?
42. (***კითხვა №15 ქალ.***) ფრანგი ფეხბურთელი კოპა - მეტსახელად.
47. კრემონელი ვიოლინოების ოსტატების გვარი.
48. (***კითხვა №16 ქალ.***) ცნობილი რუსი მსახიობი მამაკაცი.
49. მაშრიყის ფუნქციონალური კოლეგა. 53. ქალაქი, სადაც დავით ხახალეიშვილს ცნობილი კაზუსი დაემართა.
54. (**კითხვა №16 კაც.**) ირანის ერთ-ერთი მეტად სიმბოლური მთა.
58. უილიამ შექსპირისეული პერსონაჟი. 59. ქალაქ დონეცკის ყოფილი სახელი. 60. ადგილი, სადაც აუტოდაფეს ცერემონიალს ასრულებდნენ.
63. (***კითხვა №17 ქალ.***) XIX ს დროინდელი პარიზის ბარი, რომელიც ჩვენს ცნობიერებას იმპრესიონისტების ნახატებიდან შემორჩა.
64. გვარი გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადის“ თითქმის ყველა პერსონაჟისა. 65. ქალაქი ცენტრალურ ჩეხეთში. 70. რუსი, საბჭოთა მწერალი, ავტორი რომანისა „ფარი და მახვილი“.
71. (**კითხვა №17 კაც.**) თურქული წარმოშობის სალანძღავი სიტყვათაგანი.
72. ცივი იარაღი. 73. აკაკი წერეთლის ლექსი.
77. (**კითხვა №18 კაც.**) როგორია გარემო, სადაც ცეკვავს ბიორკი მის ერთადერთ როლში კინოში?
78. ერთი და იმავე სახელწოდების სოფელი დუშეთის, მცხეთისა და ხარაგაულის რაიონებში. 82. ქვევრში ჩაკეტილი კაცი. 83. წარსულის თბილისის „დინამოელი“ ფეხბურთელი. 84. ბალახოვანი მარცვლოვანი მცენარე.
88. (**კითხვა №19 კაც.**) რუსი მწერალი, არკადი... (1881-1925).
89. აფრიკიდან გატაცებული მონების სამუშაო ფართი სამხრეთ ამერიკის ტერიტორიებზე წარსულში. 90. ძალაუფლების უკანონოდ ხელში ჩაგდება. 94. მხატვრული ფილმი ენტონი კუინისა და ადრიანო ჩელენტანოს მონაწილეობით. 95. ედგარ პოს მოთხრობა. 96. ქალაქი კანადაში ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. 100. არასახუმარო კაცი. 101. 27-ე ნომერი ქიმიური ელემენტი.
102. (***კითხვა №18 ქალ.***) სახელი და გვარი კინოპერსონაჟისა, რომელიც აქვე დგას.
107. საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, რომელიც ადრე ისევე იყო დაფასებული, როგორც ახლა ძმები ზუბალაშვილები არიან. 108. ნაპოლეონის ეპოქის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. 109. ერთ-ერთი მდინარეთაგანი, რომელიც ჩამოედინებოდა სამოთხეში ოთხ მდინარეთა შორის. 113. დიდი იტალიელი ფიზიკოსი. 114. ადამიანის სხეულის ქვემო ნაწილის ძვლოვანი ნაწილი. 115. დიდი ბრიტანეთის კუნძულების პოეტური სახელი. 119. ბევრი ადამიანის ომახიანი შეძახილი. 120. საქ. ტელევიზიის პირველი არხის საინფორმაციო ტელეგადაცემა. 121. ის, რაც ოქროა რჩეული.
124. (**კითხვა №20 კაც.**) იხილეთ ფოტო №2.
125. (***კითხვა №19 ქალ.***) მამაკაცის გარდერობის ყველაზე საინტერესო ნაწილი ქალისათვის.
126. (***კითხვა №20 ქალ.***) ის ორმარცვლიანი, რაც ნამდვილმა მამაკცმა უნდა იცოდეს (ოთხმარცვლიანთან ერთად) თუნდაც იმისათვის, რომ ქალის გული მოიგოს.



1. პოლიტ.-შემეცნებითი პროცესი, რაც ახლაც გრძელდება ჩვენში... მაგრამ სუსტად.
2. კინოპერსონაჟი ბატონი გიორგი გელოვანის შემოქმედებიდან.
3. დაავადებათა მკურნალობა ცილოვანი ნივთიერებებით, რომლებიც შეჰყავთ ორგანიზმში კუჭ-ნაწლავის ტრაქტის გვერდის ავლით.
4. ფრანგი კაცი, რომელმაც ყველაკომუნისტური მოღვაწე აამღერა.
5. XIX-XX სს ინგლისელი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი (...დარწმუნებულნი ვართ, ვერ იპოვით... ჰა-ჰა-ჰა!)
6. სხვა სფეროს ფრანგი ხელოვანი, რომლის გვარი სხვა სფეროს ხელოვნების „ანით და ბანითაა“ შედგენილი (ესეც მაგარია!... ჰა-ჰა-ჰა!)
7. ინგლისური სიტყვა, რაც ყველა მძღოლმა იცის.
8. სრული სახელი კაცისა, რომელთანაც თამაზ წივწივაძეს ერთდროს სარკინიგზო პოლემიკა ჰქონდა გამართული.
9. ლეილა აბაშიძის კინოპერსონაჟი.
10. ჩინეთის ცოდნა.

## საკროსვორდო ჩემპიონატის დავალება ორივე ლიგისათვის. 9–10 მარტი.11–14 სთ 2002 წ




















აშშ-ს შტატების შესახებ ხელმეორე, უფრო ვრცელი და საინტერესო მასალის გამოქვეყნება იმითაა გამოწვეული, რომ ამ ქვეყნისადმი ჩვენში დიდი ინტერესი არსებობს და ხშირად ეს ინტერესი არასწორი ინფორმაციით კმაყოფილდება.... გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ ამგვარი პუბლიკაციები შუალედური რგოლია იმ დიდი წიგნისა, რაც სასურველია, რომ ქართულ ენაზე არსებობდეს და ერქვას - „ამერიკის შეერთებული შტატები“




## ისტორიული ექსკურსი

პირველი ადამიანები აიოვას ტერიტორიას დაახლოებით, 12 000 წლის წინ მოევლინენ, როცა გამყინვარების პერიოდი მთავრდებოდა და ამ რეგიონში მობინადრე დიდი ზომის ცხოველები მონადირეტა ყურადღების საგანი გახდა.

დაახლოებით 1000 წლის წინ მისისიპის ნაპირებზე მარცვლეული კულტურის (ხორბლის, სიმინდის) პირველი ნათესები გაჩნდა და მოსახლეობამ ინტენსიურად დაიწყო ფართოდ გაშლილი პრერიების ათვისება.

XVII საუკუნისათვის აიოვა საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული, სადაც პრივილეგირებულ როლს ძირითადად ინდიელთა ორი ტომი - **ომაჰა** და **ვინებაგო** თამაშობდნენ

### ფრანგი პირველაღმომჩენები

აიოვაში მისული პირველი ევროპელები იყვნენ ეროვნებით ფრანგი ჟაკ მარკეტი და ლუი ჟოლი, რომლებამაც 1673 წელს გადასერეს მდინარე მისისიპი და აიოვას ცენტრალურ რეგიონამდე იმოგზაურეს. მოგვიანებით სხვა ფრანგმა პირველად - ომჩენებმა აიოვას და მის მიმდებარე რეგიონებს მთლიანად **ლუიზიანა** უწოდეს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბრიტანელებმაც განაცხადეს პრეტენზიები აიოვას ნაყოფიერ ველებზე, რის შედეგადაც 1754-1763 წლებში ამ რეგიონში სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ძალებს შორის. ამავე პერიოდში მისისიპის მარცხენა სანაპიროზე საკმაოდ მყარი პოზიციები ჰქონდათ ესპანელებსაც. ამგვარ დაპირისპირებაში კი XIX საუკუნე დადგა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ლუიზიანას შტატი უკვე ამერიკის შეერთებულპმა შტატებმა ფრანგებისაგან 15 მილიონ დოლარად შეისყიდა (ეს მოხდა 1803 წელს, პრეზიდენტ თომას ჯეფერსონის მმართველობისას).

ადგილობრივი ინდიელები არაფრით ეგუებოდნენ თეთრკანიანთა გაბატონებას და არ სურდათ ამ ნაყოფიერი ველების დათმობა, რასაც შედეგად მოჰყვა აჯანყება ინდიელთა ტომობრივი ლიდერის „შავი შევარდნის“ ხელმძღვანელობით, რაც 1812 წლიდან 1832 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე მეამბოხეთა ლიდერი ტყვედ არ ჩაუვარდა თეთრკანიანებს.

1830 წლიდან აიოვას ტერიტორიაზე ილინოისში დამკვიდრებული ევროპელი პირველმოსახლეების მასობრივი გადაბარგება დაიწყო, რასაც თან ახლდა მრავალი პრობლემა და კონფლიქტური სიტუაცია, რაც პირველ რიგში დამოუკიდებელი შტატის შექმნის სურვილით იყო განპირობებული. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან აიოვას საზღვრებმა თითქმის დღევანდელი კონფიგურაცია მიიღო და საბოლოოდ დაეპატრონა მეზობელ შტატებთან (დაკოტა, მინესოტა, ვისკონსინი) სადავოდ ქცეულ ტერიტორიებს.

აშშ-ს ცენტრალურ ხელისუფლებასთან წარმოებული საკმაოდ ხანგრძლივი და კონფლიქტური მოლაპარაკებების შემდეგ 1846 წელს ეს შტატიც გაწევრიანდა ქვეყნის შემადგენლობაში და დამოუკიდებელი სტატუსი მიიღო.

# აიოვა

**აიოვა** (Iowa) მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთით და ზოგადად „შუა დასავლეთის“ სახელითაა ცნობილი. ეს რეგიონი დამოუკიდებელი სტატუსით 1846 წლის 28 დეკემბერს შევიდა აშშ-ს შემადგენლობაში, როგორც რიგით 29-ე შტატი.

სიტყვა „აიოვა“, როგორც ფიქრობენ ადგილობრივ ინდიელთა ენიდანაა აღებული და იქ არსებული მდინარის სახელს ეფუძნება. არაოფიციალურად ამ შტატს „შევარდნის თვალის შტატსაც“ უწოდებენ, რაც მეამბოხე ინდიელთა ბელადის „ბლექ ჰავკის“ (შავი შევარდნის) სახელიდან უნდა მომდინარეობდეს.

აიოვას გეოგრაფიული თავისებურება პირველ რიგში განისაზღვრა გამყინვარების პერიოდის არსებობით, რაც დაახლოებით 2,5 მილიონი წლის წინ დაიწყო და 10 000 წელს გაგრძელდა ამ რეგიონში. ამიტომაც მისი ლანდშაფტი ხასიათდება ქვიშრობებით, თიხანარევი ზედაპირებით და მომცრო გრძელი სერებით, სადაც უხვადაა დალექილი გამყინვარების ეპოქის შრეები.

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის, და განსაკუთრებით ხორბლის, წარმოებით აიოვას აშშ-ში წამყვანი ადგილი უკავია.


მდინარე მისისიპი

**აიოვა** /ai ǝw ə/

**ფართობი** - 145 754 კვ.კმ. (56,276 კვ.მილი) - აშშ-ს სიდიდით 26-ე შტატი.
**მაქსიმალური სიგრძე** - 344 კმ
**მაქსიმალური სიგანე** - 534 კმ
**მოსახლეობა** - 2 777 000 (1995 წ).
**მოსახლეობის სიხშირე** - 19 ადამიანი - 1 კვ. კმ.-ზე
**ადმინისტრაციული ცენტრი** - დე-მოინი

**დე-მოინი** აიოვას უდიდესი ქალაქი, რომლის მოსახლეობამ ახლახან 200 000-ს გადააჭარბა.

მდებარეობს ამავე სახელის მქონე მდინარისა ნაპირზე, რაც თავის მხრივ ფრანგული თარგმანია ინდიელთა სიტყვისა ***moingwena*** და „ქვიშრობის მდინარეს“ ნიშნავს.

ევროპელთა პირველი ფორტი დე-მოინის ტერიტორიაზე 1843 წელს გამოჩნდა და მაშინვე რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრად ჩამოყალიბდა.






**დროშა** *სამფეროვანია: მარცხნივ ლურჯი, შუაში თეთრი და მარჯვნივ წითელი. ცენტრში არის ფრინველის გამოსახულება წარწერით* - **IOWA**




**გერბი** - *წარწერით* ***(Great Seal of The State of Iowa);***



**ფრინველი** - *ამერიკული ჩიტბატონი* ***(American Goldfinch);***



**ყვავილი** - *ველური ვარდი* ***Wild Rose***



**ხე** - *მუხა* ***(Oak).***

**დევიზი** - *ინგლ.* - ***Our liberties we prize and our rights we will maintain;*** *(ჩვენს თავისუფლებას ვაფასებთ და ჩვენს უფლებებს დავიცავთ)*

- თანამედროვე აიოვა 99 ოლქადაა დაყოფილი.

- მოსახლეობის რაოდენობის მხრივ აშშ-ში 30-ე ადგილი უკავია. მთელი მოსახლეობის 96,6 %-ს თეთრკანიანები შეადგენენ, 1,7 % - შავკანიანი მოსახლეობაა, 0,9% - აზიიდან და წყნარი ოკეანის კუნძულებიდან მისულნი არიან და ადგილობრივი ინდიელები მხოლოდ 0,3%-ს წარმოადგენენ.

- სარწმუნოებრივად მოსახლეობის უმრავლესობას კათოლიკები შეადგენენ, თუმცა შეინიშნება სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა სიმრავლეც

- დე-მოინის გარდა, აიოვაში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი: სიდარ-რაპიდსი (113 000), დევენპორტი (96 ათასი), სუ-სიტი (80 ათასი), ვატერლოო (67 ათასი), აიოვა-სიტი (60 ათასი).

# ეს უცნაური ესპანელები

*ნაწყვეტები დრიუ ლონეის წიგნიდან*

### საყვარელი გასართობები

სიესტა

ეჭვსგარეშეა, რომ „სიესტა“ ესპანელთა ყველაზე საყვარელი გასართობია. ეს გახლავთ ორსაათიანი ძილი სადილის შემდეგ და იმდენად ხელშეუხებელ სიწმინდედაა აღიარებული, რომ ყველას, ვისაც 15-17 საათებში ქუჩაში მოსიარულეს ნახავენ აუცილებლად გიჟი-გადარეულის სახელს მიაკერებენ.

ლატარია

აზარტული თამაშები ესპანელთა უზარმაზარი ვნებაა და ყველაზე დიდ თამაშად „ელ გორდო“, ანუ „ბუთხუზა“ ითვლება. ეს ლატარია ყოველწლიურად 22 დეკემბერს თამაშდება და მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებიანად ითვლება.

მოგებულს შეუძლია 300 მილიონი პესეტა (დაახლოებით **2 მილიონი დოლარი**) მიიღოს, თუმცა უნდა ითქვას, რომ თავად ლატარიის ბილეთი 30 000 პესეტა ღირს (200 დოლარი), ასე რომ, როგორც წესი ათი კაცი ერთად ყიდულობს ერთ ბილეთს და მოგებასაც 10 ნაწილად ყოფენ.

ლატარიის ფინალური ეტაპი მთელი ქვეყნისათვის მოვლენად ითვლება, მას თვალს ადევნებს მილიონობით ტელემაყურებელი. ამ დღეს მადრიდის „**სან ილდეფონსოს**“ მოსწავლეები მომგებიან ბურთულებს იღებენ ყუთიდან და ეს ტრადიცია უკვე ორი საუკუნეა არსებობს, რაც ტრადიციულობის თვალსაზრისით საშობაო წირვასაც კი უტოლდება.

### მაჩო

ამბობენ, რომ ესპანელ მამაკაცებს ისე ზრდიან, რომ „ბედნიერნი“ კი არა **„ნამდვილნი“ იყვნენ**!

ეს აზრი, რა თქმა უნდა, სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ იმის გამოისობით, რომ დღესაც არავინ იცის, თუ როგორი უნა იყოს „ნამდვილი მამაკაცი“, ესპანელმა ფემინისტებმა თანდათანობით წამყვანი ადგილი დაიკავეს საზოგადოებაში, დაეპატრონნენ სარეკლამო სამყაროს და ახლა, როცა ისინი ვაჭრობის მამოძრავებელი კლიპების თხზვით არიან დაკავებულნი, „ნამდვილ მამაკაცებს“ სახლში უხდებათ ყოფნა და სამზარეულო საკითხების თუ ტანსაცმლის რეცხვა-დაუთოების პრობლემების მოგვარება...

იმ ესპანელებს კი, ვისაც კვლავაც სურს „მაჩო“ ერქვას, სოციოლოგი ხოსე ვინსენტ მარკესი ასეთ რეცეპტს სთავაზობს:

„თუ გსურთ, რომ უყვარდეთ და გიჯერებდნენ... შეიძინეთ ძაღლი.

თუ გსურთ, რომ მუდამ მართალი იყოთ... შეიძინეთ თუთიყუში.

ხოლო თუ სათანადო არგუმენტების ნახვას ვერასოდეს ახერხებთ და თანაც პირველ სართულზე ცხოვრობთ, შეიძინეთ სახედარი“.

საერთოდ კი უნდა უთქვას, რომ „მაჩიზმი“ ესპანური გამოგონება არ გახლავთ, ეს უფრო უცხოელთა თვალით დანახული ყოფაა ესპანელი მამაკაცისა.

### ფოსტა

ფოსტა ერთ-ერთი სფეროა, რომელსაც შეეძლო კარგად ემუშავა, მოსახლეობა რომ ყოფილიყო ამაში დაინტერესებული, მაგრამ წერილი არასოდეს ყოფილა ესპანელთა ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.

ესპანელები იმდენად ცოტა წერილს იღებენ, რომ საფოსტო ყუთი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს და ბარათებს კარის ქვეშ აცურებენ ან ფანჯარაში ყრიან... ასე რომ, ამ ფრიალ-ფრიალში წერილი შეიძლება სადმე კარადებს უკან გადაფრინდეს და იქ იდოს მუდმივად... ხელშეუხებელი.

ისიც შეიძლება, რომ ფოსტალიონს ფანჯარა დაკეტილი დახვდეს და რადიკულიტიც აწუხებდეს (ფოსტალიონს), ასე რომ იგი ვერ დაიხრება და თქვენს კარებქვეშ წერილს ვერ შემოაცურებს და, ღმერთმა იცის, სად შეტენის ან სულაც უკან წაიღებს...

ერთი სიტყვით, იმისათვის რომ ესპანეთში კორესპოდენცია მიიღოთ, თქვენ მოგიხდებათ იჯარით აიღოთ ფოსტის საგანგებო ყუთი შესაბამის საფოსტო განყოფილებაში.

### განათლება

ზოგადი განათლების მიღება ესპანეთში ისევეა ორგანიზებული, როგორც საფრანგეთში და ლიც-



ეუმის პრინციპს ეფუძნება, თუმცა არის თავისებურებებიც:

თუ საფრანგეთში გაკვეთილზე დაგვიანებულ და მოუმზადებელ ბავშვს მკაცრად სჯიან, ესპანეთში დაგვიანებაზე არავინ რეაგირებს, რადგან სულერთია - მასწავლებელზე ადრე მაინც ცხადდება ყველა მოსწავლე გაკვეთილზე.

ბავშვები საბავშვო ბაღში 4-5 წლის ასაკიდან მიჰყავთ, ლიცეუმში კი 6 წლისებს აბარებენ და რვა კლასს 14 წლისანი ამთავრებენ. შემდეგ, გარემოებიდან გამომდინარე, ან ინსტიტუსათვის ემზადებიან, რისთვისაც სჭირდებათ საგანგებო გამოსაშვები გამოცდის „სელექტიდადეს“ ჩაბარება, რაც მათ საშუალებას მისცემთ ქვეყნის ნებისმიერ პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩააბარონ. არსებობს მეორე ვარიანტიც - პროფესიონალური მომზადების კურსების გავლა, რასაც უფრო ხშირად მიმართავენ ესპანელი ყმაწვილები.

ესპანეთის საუკეთესო უნივერსიტეტად სალამანკა ითვლება და მას ოქსფორდსა და კემბრიჯსაც კი ადარებენ, თუმცა ამას ისინი ამბობენ, ვისაც ოქსფორდ-კემბრიჯის არსებობა მხოლოდ სმენია... თუმცა მთავარი ის არ არის - გრანადაში სწავლობ, კორდოვაში, სევილიაში თუ ბარსელონაში... **მთავარია დიპლომი**!

...რა თქმა უნდა, ესპანეთის განათლების სისტემაში, ისევე როგორც ყველგან, საუკეთესო შეფასებებს იმსახურებენ არა ისინი, ვისაც ნამდვილად ეკუთვნის აღიარება, არამედ ის საშუალოდ მოაზროვნე ფენა, ვის ზურგსუკანაც გარკვეული ძალები დგანან, მაგრამ ღვთის წყალობით ღირსეული ყმაწვილი ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც ახერხებს საკუთარი უნარის გამოვლენას და მისი აღმზრდელი პედაგოგების გულებს სიამაყით აღავსებს... ის კი აღარავის ახსოვს, რომ ამ ყმაწვილს ოდესღაც დაუმსახურებლად დაუკლეს ნიშანი გამოსაშვებ გამოცდაზე და ამით რამოდენიმე წლით შეაფერხეს მისი ცხოვრების განვითარება...

დრო ყველაფრის მკურნალია!

ამით ვამთავრებთ ესპანელებზე საუბარს და ვიმედოვნებთ, რომ მალე ე.წ. „ანგლო-საქსონური სამყაროს“ შესახებაც მოგვიწევს საუბარი.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

**Hasta la vista!** (ნახვამდის!)

## ესპანური ენის მესამე გაკვეთილის ტექსტი და ლექსიკონი

### ESTUDIAMOS IDIOMAS

**Pablo, Miguel, Elena y yo estudiamos español. Antonio, Pedro y Lina estudian francés. Luis y Enrique estudian inglés í alemán y Vd. estudia ruso. Nosotros hablamos en español con el profesor, Vds. hablan en ruso y ellos hablan en inglés y en alemán. Nosotros escribimos en la pizarra con y vosotros escribís en el cuaderno. Pablo habla en español con un periodista cubano. El periodista cubano vive en Madrid. Pedro habla en francés con un obrero francés. Yo hablo en español con una española. Vd. habla en ruso con una rusa y Enrique habla en inglés con un inglés. Miguel escribe una carta en ruso con la pluma de Elena. Elena lee la revista de Pablo y yo leo el periodico de Miguel. Luis y Enrique comen el padre de Lina el comedor de la fábrica. En la mesa de la profesor hay un libro, un cuaderno y un lápiz. En la biblioteca hay libros en español, francés, inglés y alemán.**

### ლექსიკონი

**estudiar** - სწავლა, შესწავლა
**idioma** *m* - ენა
**lengua** *f* - ენა
**español** - ესპანური, ესპანელი.
**francés** - ფრანგული, ფრანგი
**inglés** - ინგლისური, ინგლისელი
**alemán** - გერმანული, გერმანელი
**ruso** - რუსული, რუსი
**hablar español** - ესპანურად ლაპარაკი
**hablar el español** - ესპანურად ლაპარაკი
**hablar en español** - ესპანურად ლაპარაკი
**escribir** - წერა
**escribir en español** - ესპანურად წერა
**pizarra** *f* - დაფა (ანუ „ფიცარი“)
**cuaderno** *m* - რვეული
**periodista** *m* - ჟურნალისტი
**cubano** - კუბელი
**vivir** - ცხოვრება
**obrero** *m* - მუშა
**pluma** *f* - ძნელი
**periodico** *m* - გაზეთი
**comer** - ჭამა
**comedor** *m* - სასადილო
**fábrica** *f* - ფაბრიკა, ქარხანა
**profesor** *m* - მასწავლებელი
**biblioteca** *f* - ბიბლიოთეკა

### სამი ტიპის წესიერი ზმნის უღლების ნიმუში – estudi-*ar*, com-*er*, viv-*ir*

| მხოლობითი რიცხვი | | | | მრავლობითი რიცხვი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| yo - | estudi-o | com-o | escrib-o | nosotros, -as - | estudi-amos | com-emos | escrib-imos |
| tu - | estudi-as | com-es | escrib-es | vosotros, -as - | estudi-áis | com-éis | escrib-is |
| Vd. - | estudi-a | com-e | escrib-e | Vds. - | estudi-an | com-en | escrib-en |
| el - | estudi-a | com-e | escrib-e | ellos - | estudi-an | com-en | escrib-en |
| ella - | estudi-a | com-e | escrib-e | ellas - | estudi-an | com-en | escrib-en |

*მასალა დამუშავებულია „ფანტაზიის“ რედაქციის მიერ*

# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

### 299. მერილინ მონრო
Monroe, Marilyn (1926-1962)
მსახიობი

მსოფლიო კინოს უდიდესი ვარსკვლავი, მერილინ მონრო, იგივე ნორმა ჯინ ბეიკერ-მორტენსონი დაიბადა ლოს-ანჯელესში, ბავშვობა საკმაოდ აფორიაქებულ და კრიმინალურ გარემოში გაატარა, მისი მამის ვინაობის დადგენა კი ვერასოდეს მოხერხდა. 20 წლის ასაკში გათხოვდა და მუშაობა დაიწყო სამხედრო აღჭურვილობის მწარმოებელ ქარხანაში. ერთხელ მისი გარეგნობა ერთ ფოტოგრაფს მოეწონა, რომლის წყალობითაც „ფოქსისა“ და „კოლამბიას“ სტუდიებში მოხვდა სასინჯ გადაღებებზე. 1950 წელს ხელი მოაწერა ხანგრძლივ კონტრაქტს და დაიწყო მისი აქტიური კინოკარიერა. 1954 წელს ცოლად გაჰყვა ბეისბოლისტ დი მაჯიოს. მისი მესამე ქმარი კი დრამატურგი არტურ მილერი იყო. ცნობილია, აგრეთვე მერილინ მონროს სკანდალური სატრფიალო თავგადასავლები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ კავშირი მსახიობ ივ მონტანთან და ძმებ ჯონ და რობერ კენედიებთან. ნარკოტიკების გადამეტებული მიღების გამო გარდაიცვალა 1962 წელს და მისი საიკვდილი მთელი მსოფლიოს განსჯა-განქიქების სალაპარაკო საგნად იქცა.

### 300. ლორდი ლუის მაუნტბეტენი
Mountbatten, Lord (1900-1979)
ინდოეთის ვიცე-მეფე

ლორდი ლუის მაუნტბეტენი იყო ინდოეთის ის უკანასკნელი ვიცე-მეფე, რომლის აქტიური მცდელობითაც ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა მიიღო და ჩამოიხსნა კოლონიალიზმის უღელი. ლორდი მაუნტბეტენი, იყო რა ინგლისის მეფეთა საგვარეულოს წარმომადგენელი, საველე ოფიცრად იბრძოდა მე-2 მსოფლიო ომის ფრონტებზე და სახელოვანი საბრძოლო კარიერაც შეიქმნა. მოკლულ იქნა 1979 წელს ირლანდიის ტერორისტული ორგანიზაცია ირა-ს მიერ.

### 301. ბერნარ ლოუ მონტგომერი
Montgomery, Bernard (1887-1976)
ბრიტანელი გენერალი

ვიკონტი, სამხედრო წოდებულებით ფელდმარშალი ბერნარ მონტგომერი მეორე მსოფლიო ომში ჩრდ. აფრიკაში განლაგებულ სამხედრო შენაერთებს ხელმძღვანელობდა. აქ მისი სარდლობით ბრიტანეთის არმიამ გადამწყვეტი დამარცხება მიაყენა გერმანულ-იტალიურ გაერთიანებულ სამხედრო შენაერთს. 1944-45 წლებში სათავეში ედგა ჰოლანდიისა და ჩრდ. გერმანიაში განლაგებულ ჯარებს. 1951-58 წლებში იყო ნატოს ჯარების მთავარსარდლის მოადგილე.

### 302. ედვარდ რ. მუროვი
Murrow, Edvard R. (1908--1965)
ჟურნალისტი

1935 წლიდან ჟურნალისტური მოღვაწეობა დაიწყო ევროპაში. მეორე მსოფლიო ომის დროს სახელი გაითქვა ფრონტის ხაზებიდან წარმოებული რეპორტაჟებით. ომის შემდეგ ამერიკაში შექმნა პირველ სატელევიზიო-საინფორმაციო შოუ, რამაც დიდი პოპულარობა მოუტანა. 1961 წლიდან პრეზიდენტ კენედის მმართველობისას აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებდა.

### 303. ჰოსნი მუბარაქი
Hosni, Mubarak (1928-)
ეგვიპტელი პოლიტიკოსი

ცხოვრებისეული კარიერა დაიწყო როგორც სამხედრო მფრინავმა და 1972 წელს უკვე ეგვიპტის საჰაერო ძალების მთავარსარდალი გახდა. 1975 წელს პრეზიდენტმა ანვარ სადათმა დანიშნა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, სადათის მკვლელობის შემდეგ კი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. ჰოსნი მუბარაქი ისრაელთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მომხრედ ითვლება.

### 304. ლუის მამფორდი
Mumford, Lewis (1895-1990)
აშშ არქიტექტორი და ფილოსოფოსი

მემფორდის მოღვაწეობაში უნდა აღინიშნოს ერთი მთავარი იდეა, რაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წინააღმდეგობაში გამოვლინდა. იგი იყო მომხრე შუასაუკუნეების ფასეულობათა აღდგენისა და ამ საკითხს თავისი მთავარი შრომა - „მითი მანქანაზე“ მიუძღვნა. იყო აქტიური კრიტიკოსი მონოპოლიურობისა და საზოგადოების ბიუროკრატიზაციისა. მისმა შრომებმა არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის შესახებ დიდი ზეგავლენა იქონია აშშ-ს ურბანისტიკის მსვლელობაზე.

### 305. ედმუნდ მასკი
Muskie, Edmund (1914-)
აშშ პოლიტიკოსი

პროფესიით იურისტი აქტიურ პოლიტიკაში 1947 წელს ჩაერთო, როცა წარმომადგენელთა პალატაში იქნა არჩეული. 1951 წელს მენის შტატის გუბერნატორის პოსტზე განაგრძო მოღვაწეობა, 1959 წლიდან სენატის წევრია, 1980-81 წლებში იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი.

### 306. ბენიტო მუსოლინი (დუჩე)
Mussolini, Benito (1883-1945)
იტალიელი პოლიტიკოსი

პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო სოციალისტურ პარტიაში, საიდანაც 1914 წელს გარიცხეს. 1919 წელს დაარსა ფაშისტური პარია, 1922 წლის ნოემბერში მოაწყო „ლაშქრობა რომზე“ და ხელისუფლების სათავეში მოექცა. ამავე დროს იყო მთავრობის ხელმძღვანელიც, ფაშისტური პარტიის ლიდერიც და დიქტატორული უფლებამოსილებით სარგებლობდა. 1936-39 წლებში ეთიოპიასა და ალბანეთში აგრესიული მეთოდებით შეიყვანა ჯარები და ეს ქვეყნები ოკუპაციაში მოაქცია. მუსოლინი ჰიტლერთან ერთად ითვლება მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ მთავარ წამომწყებად და დამნაშავედ. 1945 წელს იგი იტალიელმა პარტიზანებმა შეიპყრეს და დახვრიტეს.


ჯავაჰარლალ ნერუ


იმრე ნადი


ბენიტო მუსოლინი


გამალ აბდელ ნასერი


მერილინ მონრო

### 307. ოსამი ნაგანო
Nagano,Osami (1880-1947)
იაპონელი ადმირალი

ჰარვარდის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ უმაღლესი საზღვაო აკადემია დაამთავრა და მოკლე დროში იაპონიის საზღვაო ძალების მთავარსარდალიც გახდა, თუმცა ამით მისი სამხედრო კარიერა არ დასრულებულა და იაპონიის მთელი შეიარაღებული ძალების შტაბის ხელმძღვანელობამდეც კი მიაღწია. მეორე მსოფლიო ომის წლებში განხორციელებული საბრძოლო ოპერაციები ძირითადად ადმირალ ნაგანოს მიერ იგეგმებოდა, რის გამოც ომის დასრულების შემდეგ დაპატიმრებულ იქნა, როგორც მთავარი სამხედრო დამნაშავე და განაჩენის აღსრულების მოლოდინში გარდაიცვალა.

### 308. იმრე ნადი
Nagy, Imre (1896-1958)
უნგრელი პოლიტიკოსი

პირველი მსოფლიო ომის დროს რუსების ტყვეობაში მოხვდა. 1921 წ შევიდა კომპარტიის რიგებში. სამოქალაქო ომის დროს წითელი არმიის რიგებში იბრძოდა. 1921 წ დაბრუნდა უნგრეთში, მაგრამ კვლავ მოუხდა საბჭოეთში ემიგრირება. 1944 წლიდან მინისტრის პოსტი დაიკავა, 1953-55 წლებში იყო უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელი. 1956 წელს უნგრეთში მიმდინარე რევოლუციურ გარდაქმნებს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ ქვეყნიდან მოუხდა გაქცევა და იუგოსლავიაში იმალებოდა, მაგრამ 1958 წელს შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს, როგორც სამშობლოს მოღალატე. 1989 წელს მოხდა მისი რეაბილიტირება, ითვლება უნგრეთის ეროვნულ გმირად.

### 309. გამალ აბდელ ნასერი
Nasser, Gamal Abdul (1918-1970)
ეგვიპტელი პოლიტიკოსი

გამალ აბდელ ნასერი 1949 წელს სათავეში ჩაუდგა პოლიტიკური ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრების“ აღმასრულებელ კომიტეტს, რამაც 1952 წელს ეგვიპტეში სამხედრო გადატრიალება მოახდინა. 1953 წლიდან იყო პრემიერ-მინისტრის მოადგილე, 1954-56 წლებში პრემიერ-მინისტრი, 1958 წელს კი გახდა გაერთიანებული არაბთა რესპუბლიკის (მათ შორის სირიის) პრეზიდენტი. 1970 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევის გამო.

### 310. ჯავაჰარლალ ნერუ
Nehru, Javaharlal (1889-1964)
ინდოეთის სახელმწიფო მოღვაწე

ინდოეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ნერუ მხარში ედგა მოჰანდეს განდის და ხანგრძლივი დროის განმავლობაში საპატიმროებში უხდებოდა ყოფნა. 1947 წლიდან უმაღლეს სახელმწიფოებრივ პოსტებზე დაინიშნა, იყო ინდოეთის პრემიერ-მინისტრი და ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრიც. ისტორიაში შევიდა „ახალი ინდოეთის მშენებლის“ სახელით. მისი თაოსნობით გადაიდგა მძლავრი ნაბიჯები ინდოეთის ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდირების და საერთაშორისო არენაზე დამკვიდრებისათვის

### 311. ჯეკ ნიკლაუსი
Nicklaus, Jack (1940-)
ამერიკელი სპორტსმენი

„საუკუნის სპორტსმენად“ აღიარებული ჯეკ ნიკლაუსი გოლფის ისტორიის ყველა დროის უდიდეს და ტიტულოვან სპორტსმენად ითვლება.

# ექიმის მიერ შედგენილი კროსვორდი აღმოსავლეთმცოდნის კომენტარით




1. XIX საუკუნის გერმანელი პოეტი, რომელიც 25 წლის ასაკში გარდაიცვალა. 2. მომწვანო ფერის ძვირფასი ქვა. 3. სკანდინავიაში ფრუ, გერმანიაში - რა? 4. ისტორიული მხარე სომხეთში. 5. ტელეაუდიო აპარატურის მწარმოებელი იაპონური ფირმა. 6. ტიპისა და ვიგვამის ერთგვარი ანალოგი. 7. სიტყვა, რომელიც აფიქსირებს მოქმედებას წარსულში. 8. ჩაწერეთ ლათინურად „**გულის დამბლა**“ (ასეთებიც ხდება). 9. **ორგანოს ნაწილის, ან რაიმე გამომწვევი მიზეზის მოშორება-აღკვეთა**. 10. XX საუკუნის ცნობილი ავსტრიელი პოეტი. 11. რაიმე საგნის მოხაზულობა, კონტური. 12. ზღვების ნაპირების ნგრევა ტალღების მოქმედებით. 13. XX საუკუნის ყირგიზეთის სახალხო პოეტი, თემირყულ ... 14. საბრძოლო შუბი, რომელზეც წამოცმულია ცული. 5. სრული ქაოსი და უწესრიგობა ანუ რა? 16. განთიადის ღვთაება ძველბერძნულ მითოლოგიაში. 17. ის, ვისაც უწოდებენ „რუსული ლიტერატურის მზეს“. 18. XIV საუკუნის დიდი შირაზელი პოეტი, რომლის გვარიც ქართულად ითარგმნება როგორც „დამმახსოვრებელი“ (**გმადლობთ, ექიმებო!**). 19. ალკოჰოლური სასმელი. 20. ძველებური კუთხსაზომი ხელსაწყო, რომელსაც იყენებდნენ ასტრონომიაში. 21.რა პროფესია აკავშირებს ერთმანეთთან გრენლანდიასა და მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდს... ფერქერის თვალსაზრისით? 22. **მხედველობის დაქვეითება, რომელიც თავს იჩენს ასაკის მატებასთან ერთად**. 23. ყველაზე ცნობილი პერუელი მწერლის, „ქალაქი და ძაღლების“ ავტორის სახელიც გაიხსენეთ ბარემ. 24. გერმანელი ჟურნალისტი, რომელიც აი ასეთი აზრის იყო საქართველოზე:

„ეს საოცარი მხარე ზღაპრული მშვენიერების, სიკეთის, სიბრძნის, ბედნიერების, მძლავრი შემოქმედებითი შრომის, სიხარულისა და უკვდავების უშრეტი წყაროა.“

25. დაბრკოლება, წინააღმდეგობა ამუ რა? 26.XX საუკუნის უნგრელი პოეტი, დიულა ... 27. აპოფონია, ხმოვანმონაცვლეობა სიტყვის ძირში. 28. ზღვის ან მდინარის მიუდგომელი კლდოვანი ნაპირი. 29. იატაკქვეშეთის ერთ-ერთი „პროდუქცია“. 30. ბერძნული ანბანის ასო. 31. რომან „ვაზის ყვავილობის“ პერსონაჟის, უჯირაულის (ეროვ საკროსვორდო!) სახელი. 32. **ის, რისი გამოვლინებაცაა თავისი არსით ანაფილაქსიური შოკი**. 33. ასე ვთქვათ, თოვლის შემადგენელი ნაწილი. 34. სოფელი იმერეთში, ზესტაფონის რაიონში. 35. ქვეყანა, რომლის დედაქალაქიც ლა-პასი გახლავთ. 36. მტკიცე, მჭიდროდ ნაქსოვი ბუსუსიანი შალის ქსოვილი. 37. პროვინცია კანადაში. 38. ჟაკ ივ კუსტო იყო მსოფლიოში პირველი... ვინ? 39. XVII საუკუნის ფრანგი პოეტი, დრამატურგი, კლასიცისტური დრამატურგიის დამფუძნებელი ლუდოვიკოს აბსოლუტიზმის ეპოქაში. 40. **ძვლების დაავადება, მათი გამოფიტვა კალციუმისაგან იმ დონემდე, რომ ისინი ადვილად მსხვრევადი ხდებიან** (ასეთებიც ხდება?!). 41. ბახის ... და ფუგა. 42. თევზი, რომლითაც იწყება ზოოლოგიის სასწავლო წიგნი. 43. იოჰან ვოლფგანგ გოეთეს მთავარი ნაწარმოები. 44. კლდეში ბუნებრივად ნაკვეთი სათავსი. 45. ერთგვარი ნარკოტიკული საშუალება. 46. XIII-XIV საუკუნეების სპარსელი პოეტის, ხიველის პირველი სახელი (**ერთხელაც გმადლობთ, ექიმებო!**). 47. ათი მონომერისაგან შემდგარი პოლიმერი. 48. თენგიზ აბულაძის ერთ-ერთი ცნობილი ფილმის ერთ-ერთი ცნობილი პერსონაჟი. 49. ორგანული ნაერთი, უფერო სითხე. 50. როდის იქნება უახლოესი შაბათი? 51. რაიმე კანონის გაუქმებისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივი მოძრაობა. 52. ყველა დროის უძლიერესი ინდოელი მოჭადრაკე, სახელად ვიშვანანდი. 53. XVII საუკუნის ფრანგი პოეტი და დრამატურგი. 54. როგორია ის ქიმია, რომელიც შეისწავლის ცოცხალ ორგანიზმში შემავალ ნაერთებსა და ნივთიერებებს? 55. სოფელი გორის რაიონში. 56. XVI საუკუნის ესპანეთის პოლიტიკური მოღვაწე, ჰერცოგი, ალვარეს დე ტოლედო ფერნანდო (.......) 57. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „მატყუარა, მატყუარა“. 58. რა ჰქვია სახელად ასტრიდ ლინდგრენის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს გვარად ბლუმკვისტს? 59. ნორვეგიელი დრამატურგი. 60. რა ჰქვია სახელად პამელა ტრავერსის მთავარი პერსონაჟის ერთ-ერთ აღსაზრდელს? 61. ის, რაც განიცადა ნაპოლეონმა ვატერლოოსთან. 62. რაიმე ნივთიერების ორგანიზმიდან გამოყოფა, მოშორება.. 63. ის, რაც „ფანტაზიას“, როგორც იქნა, ფერადი გაუხდა ექვსი წლის შრომისა. წვალებისა და შეცდომების შემდეგ...

**შეადგინა ექიმმა**
**დათო ჭილიტაშვილმა**

**შეცდომების შესახებ კი ორიოდ სიტყვა უნდა მოგახსენოთ მე, აღმოსავლეთმცოდნე ალ. ელერდაშვილმა.**

...რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია იმის უარყოფა, რომ ჩვენს გაზეთში (სამშაბათის და პარასკევის გამოშვებებში) იპარება შეცდომები და ზოგჯერ ისეთიც შემოიპარება ხოლმე, რომ ყოველგვარი მუშაობის ხალისს გვიკარგავს.

...ეს, რა თქმა უნდა, შეგნებული მცდელობის ნაყოფი არ არის და არც იმის გამოხატულებაა, რომ შეცდომა სიბრიყვის, უმეცრების და გაუნათლებლობის შედეგია, რასაც ხშირად გვწამებენ ამ შეცდომების აღმომჩენი ჩვენი ყურადღებიანი მკითხველები.

...აღნიშნული მიზეზების გამო გასული სამშაბათის ნომერში გამოვაცხადეთ, რომ ვიწყებთ „ფანტაზიის“ კრიტიკოსთა (...**კარგი გაგებით**) კონკურსს, რაც ორმხრივად სასარგებლო იქნება ჩვენთვისაც და მასში გამარჯვებული პიროვნებისთვისაც...

...პასუხების მიღება სამშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დავაწესეთ, მაგრამ დღეს უკვე ხუთშაბათია და ჯერ არცერთ კრიტიკული სატელეფონო ზარი არ მოსულა ჩვენამდე.

...უმორჩილესად გთხოვთ, აღმოაჩინეთ შეცდომები, დაგვირეკეთ და დაგვიდასტურეთ ამ შეცდომის სიმართლე, ჩვენგან კი დაიმსახურებთ პრიზებს და უღრმეს მადლობას აქტიური თანამშრომლობისათვის.

**ველით თქვენს ზარებს!**

## ვიცნობდეთ ერთმანეთს „ფანტაზიელები“




### ამონაწერი ავტობიოგრაფიიდან

„...დავიბადე 1962 წლის 17 აგვისტოს გალის რაიონის სოფელ ფიჩორში. 1979 წელს დავამთავრე ამავე სოფლის საშუალო სკოლა 1980-85 წლებში ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკა-გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე. პროფესიით ვარ პროგრამისტი, ვმუშაობ საწარმოო გაერთიანება „ორიონში“ ვარ დასაოჯახებელი.

### სარედაქციო პროლოგი

**ლილე აქუბარდია „ფანტაზიის“ ირგვლივ შემოკრებილ ადამიანთა შორის, ალბათ, ყველაზე დიდი სტაბილურობითა და უნივერსალობით გამოირჩევა, რადგან ყოველგვარ კითხვა-პასუხსა და ჩემპიონატ-ვიქტორინაში ყოველთვის ლიდერთა შორის იმყოფება, თუმცა ერთი სამწუხარო წინსართი გამუდმებით სდევს თან მის სატურნირო ტიტულებს და ეს გახლავთ სიტყვა „ვიცე“, რაც, მოგეხსენებათ „მეორეს“ ნიშნავს...**

**სხვათა შორის „მარად მეორეობა“, როგორც ჩანს, სპორტის მრავალი სახეობის „ინფექციური სენია“ და ისეთ დიდ მოასპარეზეებსაც ახასიათებდათ, ვთქვათ, როგორც მოჭადრაკეები დავიდ ბრონშტეინი და პაულ კერესი, ან ძალოსანი დიტო შანიძე იყო....**

### ორიოდ სიტყვა (ჟურნალ) „ფანტაზიაზე“

**კვლავ ლილეს მოვუსმინოთ:**

დაახლოებით სამი წელია, რაც თქვენი, უფრო სწორად უკვე ჩვენი გაზეთი (...და უკვე ჟურნალით! - რედ.) დავინტერესდი, მანამდე კი არა მარტო „ფანტაზიას“, ზოგადად ე.წ. გასართობ პრესას პრაქტიკულად არანაირ ყურადღებას არ ვუთმობდი. ამ გაზეთმა პირველად მაშინ მიიპყრო ჩემი ინტერესი,როცა ჩემი თანამშრომლები რაღაც უცნაური კითხვების პასუხებს ეძებდნენ და ზოგჯერ მეც მომმართავდნენ პრობლემის გადასაჭრელად... „ფანტაზიის“ სტილმა თავიდან ჯერ გამაღიზიანა, მაგრამ შემდეგ მიხვდი, რომ გაღიზიანების გარეშე კროსვორდების შევსებას საერთოდ არ დავიწყებდი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა...

**(....სარედაქციო ჩანართი)**

*ჩვენ გვსურს ერთი ფაქტი გაგახსენოთ ჩვენი კინემატოგრაფიდან: რომ გაეღიზიანებინა ქალბატონ ანჟელინას ბატონი პერი, ხომ აღარ მოემდურებოდნენ მათი პატრონები ერთმანეთს...*

*ჰოდა, ამაშია საქმე!*

**კვლავ ლილეს მოვუსმინოთ:**

1) შემომაქვს ასეთი წინადადება: „ფანტაზიელების“ გამოკითხვისას შევეცადოთ, კინომსახიობების თუ სპორტსმენების მსგავსად, დავასახელოთ ის იდეალური მონაწილე საკროსვორდო ჩემპიონატისა, ვინც სანიმუშოა თავისი ინტელექტუალური თუ საბრძოლო მონაცემებით... ასეთია ჩემთვის ელეონორა ფურცელაძე!

2) მსურს დავაზუსტო გასულ „ფანტაზიაში“ ხსენებული სკანდალური სიტუაციის და სახელდახელოდ შექმნილი აფორიზმის არსი - „ძმა ძმისთვის, შავი დღისთვის, მაგრამ არა კროსვორდისთვის“... მე ვთვლი, რომ მონაწილეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა დასაშვებია, მაგრამ არა იმ დონეზე, რომ პასუხები ჩავაწიკწიკებინოთ ერთმანეთს და რაღაც საკროსვორდო კორუფცია გავუმართოთ ჩვენს რედაქტორს (გვარს არ დავასახელებ!)

**(რედაქტორი თავად დაასახელებს თავის გვარს)**

*მე, ალ. ელერდაშვილი, „ფანტაზიის“ მთ. რედაქტორი, სავსებით ვეთანხმები ქალბატონი ლილეს გამოსვლას და ვყვირი - ძირს საკროსვორდო კორუფცია (არ ვარგა!) ძირს-მეთქი! ძირს! (კარგია!)*

## ფანტაზიორი

*პასუხები გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში*

